

ნინელი ჭოხონელიძე

იდიომები რ. ინანიშვილის ენის მიხედვით

რ. ინანიშვილი მხატვრული სახის გასახსნელად სხვა ლიტერატურულ ხერხებთან ერთად ხშირად მიმართავს იდიომებსაც. ცნობილია, რომ იდიომებს – ე. წ. ლექსიკალიზებულ სიტყვათმეერთებებს დაკარგული აქვთ პირდაპირი მნიშვნელობა და ვხმარობთ გადატანით, ხატოვნად. იგი ხალხის მხატვრული თავისებურებითაა გაპირობებული და „ქმნიან ამ ენის ნაციონალურ კოლორიტს“ [შალამბერიძე 1966: 269]. ამიტომ მათი ზუსტი თარგმნა შეუძლებელია არა მარტო უცხო ენებზე, არამედ გაძნელებულია მათი ერთმნიშვნელოვანი გადატანა ერთი და იმავე ენის სხვადასხვა დიალექტებსა თუ სამწერლო ენაში.

ქართულ ენაში დადასტურებულ თითოეულ იდიომს თავისი წარმოშობისა და განვითარების ისტორია აქვს. იგი შეიძლება იყოს ბიბლიური, ლათინური, რუსთველური, ფოლკლორული წარმომავლობისა, ანდა ენაში ხალხური წყაროების გზით იყოს დამკვიდრებული. მათი ეტიმოლოგიის დადგენაც გარკვეულ სიმძნელებთანაა დაკავშირებული. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ იდიომები, როგორც ცალკე ერთეულები მეტყველებაში სათანადო სიტყვების სინონიმებს წარმოადგენენ [გვენცაძე 1991: 37].

ამა თუ იმ მწერლის მიერ მოხმობილ იდიომებს მისი ენის შესწავლისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან მწერლის მხატვრული ოსტატობა დამოკიდებულია არა მის მიერ გამოყენებულ ცალკეულ სიტყვებზე, არამედ იმ ფრაზეოლოგიურ ერთეულებზე, იმ სიტყვათა შეთანხმებებზე, რომელთა საშუალებითაც იგი ახერხებს პერსონაჟთა გარეგნული მხარის აღწერას თუ სულიერი თვისებების გახსნას.

რ. ინანიშვილის ენის საფუძველი ცოცხალი მეტყველებაა. მისი გმირები ალალი, იუმორის გრძნობით უხვად დაჯილდოებული ადამიანები არიან. მწერალი ძირითადად მათივე მეტყველების საშუალებით ახერხებს მხატვრულად მათი სახის გახსნას. როგორც დასაწყისშივე აღვნიშნეთ, მწერალი მხატვრული ეფექტის მისაღწევად ხშირად მიმართავს იდიომებს. ჩვენ შევეცადეთ გაგვერკვია,

მწერლის ენაში ენობრივად თუ რა ცვლილებებითაა ისინი წარმოდგენილი, და ან რომელი ახალი მყარი გამოთქმებით გაამდიდრა მწერალმა სალიტერატურო ქართული.

ირკვევა, რომ სალიტერატურო ქართულისათვის ცნობილი იდიომები მწერლის ენაში ხშირად უცვლელადაა წარმოდგენილი. დავასახელებთ მხოლოდ ზოგ მათგანს:

მე **გული მიჩვილდება** (ასულ. 81, 5). შდრ. **გულის აჩვილება** „გულის აჩუყება“, „გრძნობათა მორევა, ტირილის ხასიათზე მოსვლა“.

შევიდეთ, **გული გავიგრილოთ** – გაიცინა ბიჭმა (ჩიტ. 220, 6). შდრ. **გულის გაგრილება**, „გაგულგრილება, გულის აცივება, გულის აყრა“.

დაამრე, აი, მაგას რო ეკადრება, **გულზე რომ გაწერია** (გოლ. 9, 24). შდრ. **გულზე დაწერა** (რისამე). კარგად, საფუძვლიანად დახსობება“.

უწინამც **დღე გამქრობია**, შორს რომ იყოს და ქორმა დაგინახოთ (შორ. 222, 3). შდრ. **დღის გაქრობა** „სიკვდილი, დღის დაბნელება, მზის გაქრობა“ და სხვ.

მწერალი სალიტერატურო ქართულში დადასტურებული იდიომების სიტყვათა რიგს ზოგჯერ ადგილს უცვლის.

ამომიჯდება გული, ავტირდება (ტ. I, 16, ქვ. 8). შდრ. **გულის ამოჯდომა** „აქვითინება, ატირება, გულის ამოსკვნა“

გაუსივდებოდა გული, ასტკივდებოდა თავი (სად. 162, 8). შდრ. **გულის გასივება** „ძლიერ გაბრაზება, შეწუხება“.

სასტუმროს გამგე დიბირჩი... **გაიკრიფა ენად**, ცუდ კაცებს, ქვეშ-ქვეშა, გაიძვერა ადამიანებს აგინებდა (ცისფ. 211, ქვ. 3). შდრ. **ენად გაკრიფა** „ბევრი ლაპარაკი (მეტიჩრულად)“.

წყალზე არ მიშვებენ, რომ იქ მაინც **გაეახილო თვალი**, ვარ პატიმარივით (ალერს. 224, ქვ. 5). შდრ. **თვალის გახელა** „რისამე მიხვედრა, გაგება, გათვითცნობიერება, ჭკუაში ჩავარდნა“.

იშვიათად მწერალი ერთი და იმავე მნიშვნელობის იდიომის გადმოსაცემად ორსავე ზემოდასახელებულ სიტყვათა წყობას მიმართავს.

იმასაც **გულმა რეჩხი უყო** (შორ. 206, 1).

ნინოს **რეჩხი უყო გულმა** (გოლ. 77, 25).

ნიკალას... ამჟამად **გულზე ხეთქავდა** თავის უსასრულო წრიალ-ფხაჭუნი (ტ. I, 59, 9).

რაზე **ვიხეთქამ გულსა** და რაზე ვმავდღეობ მე ოხერი?! (ჯაფ. 57, 28).

ზოგჯერ სალიტერატურო ქართულში დადებითი ფორმით დადასტურებული იდიომი უარყოფითი **არ** და **ვერ** ნაწილაკებითაა წარმოდგენილი და პირიქით.

იოსებას **ენა არ დაუძრავს** (ტ. I, 60, 5). შდრ. **ენის დამძრა**.

რა იქნება, **თავწყალი ვერ გაგვიდევნებია**, ბავშვების პატრონები ვართ, ჩამოდი და იყავი ჩვენთანო (სად. 162, 5). შდრ. **თავწყლის გადენა**.

მამაჩემი აზავთებულა, – ცოდვა არ დაიდოთ, **ყელი არ გამომაჭრეინოთო** კაცსო (ალერს. 197, ქვ. 4). შდრ. **ყელის გამოჭრა**. „დალუპვა; შერცხვენა, თავის მოჭრა, ცუდ დღეში ჩაგდება“.

ხშირად ცნობილი იდიომი მწერლის მიერ გაფართოებულია.

აი, რატომ ღმერთი არ გაიცინებს, რომ ეგენიც **ქვეყნის მარაქაში** გავიდნენ (შორ. 85, 1). შდრ. **მარაქაში გარევა** „საზოგადოებაში, ხალხში გამოსვლა, ლაპარაკში, საქმეში ჩაჩრა“.

ეგ კაცი დარბოდა და **დღეში სამჯერ იძრობდა ტყავს** (ასულ. 203, 21). შდრ. **ტყავიდან ძვრება** „ყოველ ღონეს ხმარობს, შესაძლებლობას არ ზოგავს“.

სანამ გვიყვარს ვინმე და ის ჩვენი არ არის, მზად ვართ მისი გულისათვის თუნდაც **გახურებულ საკირეში ჩავსხდეთ** (ტ. I, 166, 17). შდრ. **საკირეში ჩაგდება** „გატანჯვა, გაწამება, დალუპვა“.

თხუთმეტი წლის გოგოს ხომ სუ **ნიავი უქრის თავში** (ასულ. 99, 2). შდრ. **თავში უქრის** „სულელია, ჭკუა აკლია, თავში დაკრულია“.

გვაქვს ფრაზეოლოგიური ვარიანტებიც. ძირითადად შეცვლილია იდიომის ზმნური კომპონენტები. ველარ მოვითმინე და **ენა ამოვუქნიე** (შორ. 101, ქვ. 2). შდრ. **ენის ამოდგმა** „ლაპარაკის დაწყება, ამეტყველება, ხმის მოღება, ენის დამძრა“.

ბესია... სულ მაღლა ასულა და იქიდან აყვლიფინებს თვალებს (შველ. 61, 7). შდრ. **თვალები დავაჭყიტე** (გოლ. 175, 22).

ირაკლის **გულში გაპკრა** (ტ. I, 195). შდრ. **გულში გარბენა** „(რი-სამე) გაფიქრება, აზრად მოსვლა, გულში გავლება (რისამე)“.

ისე აიჯაგრება, ისე **მოიქურუმებს სახეს**, თითქოს მეხად უნდა გასკდესო (მეგობ. 94, ქვ. 3). შდრ. **სახეზე ღრუბლის გადაფარება** „მოწყენა, დასევდიანება“.

იმვითად იდიომის სახელადი ნაწილი პერსონაჟთა მეტყველებისას დაკარგულია. მაგ. **ენა** არ ჩანს შემდეგ გამონათქვამებში. **დააყე**, დედიკო (მეგობ. 91, ქვ. 5). ცოტა **ჩაუწი**, დედაკაცო, თორემ ისეც ბეზარსა ვარ მოსული (მეგობ. 93, ქვ. 9).

ხშირად რ. ინანიშვილი კონტექსტის მიხედვით ცნობილი იდიომის ზმნურ ნაწილს სხვადასხვა მორფოლოგიური საშუალებებით (იქნება ეს სხვადასხვა ზმნისწინი, ქცევა, კონტაქტი თუ გვარი) ცვლის და ახალ სულს შთაბერავს.

ნიკალას... ამჟამად **გულზე ხეთქავდა** თავგის უსასრულო წრი-ალ-ფხაჭუნი (ტ. I, 59, 9). რაზე **ვიხეთქამ გულსა** და რაზე ვშავდღეობ მე ოხერი?! (ჯაფ. 57, 28). ბიჭს... წამოიყვანს დედ-მამის **გულის გასა-ხეთქად** სახლში (ასულ. 203, 15).

იქნება ცოტა **წავატყუო თვალი** (ალერს. 167, 30). კოლას... **თვალი წაეტყუებინა** (ალერს. 117, 6). იქვე მიწვებიან **თვალის მოსატყუებლად** (ალერს. 537, 8).

არც მაინცა და მაინც **თავი გადამიკლავს** წიგნებში (გოლ. 37, 7) მათხოვარნი ხომ არ გგონივართო **გაუკლავთ თავი** (ალერს 197, ქვ. 5).

გული აიჩვილეს (ჯაფ. 69, 9). მე **გული მიჩვილდება** (ასულ. 81, 5).

შენ **მხრებს აიჩეჩავ** (გოლ. 33, 4). მე **მხრებს ვიჩეჩავ**, სულ ეშინია, არ წავიქცე (ალერს. 271, ქვ. 2). მეზობლები... **მხრების ჩეჩვით** წავლენ (შორ. 53, 9).

აი, მაშინ კი მართლა **ცეცხლი მოიკიდა** ეფემია ბებიამ (შორ. 159, 12). გამწარებულმა დედამ სხაპასხუპით უამბო, რა **ცეცხლი წაჰკიდებოდა** მის ოჯახს (გოლ. 23, 23).

ხშირად ცნობილი იდიომის ზმნური ნაწილი შეცვლილია მისი შესაბამისი სახელზმნით. ამ შემთხვევაში იდიომი წარმოდგენილია მსაზღვრელ-საზღვრულისა, ანდა რთული სიტყვის სახით. რა კარგები იყვნენ ეს გარჯასა და ჯაფაში **თვალეზჩაქციული** ქალები (ტ. I, 16).

დევის ცალი ყურით დამჭერები არა, მაგრამ მაინც კაცები (გოლ. 82, 36).

ო, ეს ჩვენებური **ენით კენწლაობა** (გოლ. 201, 1).

გულის ასაჩქროლებელი თითქოს არაფერია, მაგრამ მაინც ასე მოსდის, მიდის და გული-დაგ-დუგ! დაგ-დუგ! (შორ 161, 2).

თვალის გადაკვრითაც კი არ გაუხედავს ტაკვია დათასკენ (ალერს. 169, 30).

გულის სამზერსაც რაღაც ეფარებოდა მუქად (გულ. 166, 10). გოგომაც... მზაკვრულად გამოგვაყოლა **ქვისგამზეთქი თვალი** (ცისფ. 244, 7).

ერთს დაიძახებენ და ასი მოვარდება შენს ადგილზე **თავ-პირის მტვრევით** (ასულ. 196, ქვ. 8).

იდიომის სახელადი ნაწილი კი შეიძლება იყოს როგორც მხოლოდობითში, ისე მრავლობითში, სხვადასხვა ბრუნვასა და თანდებულის სახით წარმოდგენილი.

გული გადაეწმინდა (გოლ. 88, 5).

ციური... **გულში იხვევდა** დარდს (ტ. I, 180, ქვ. 5).

რაზე **ვიხეთქამ გულსა** და რაზე ვშავდღეობ მე ოხერი? (ჯაფ. 57, 2).

სხვებს **თვალში ეკლად კი არ ესობოდი** (ჯაფ. 66, 14). შდრ. **თვალში ეკლად სჩრია**.

რა კაცი ყოფილა ეგ გიორგი, რა ენის პატრონი, სუ **ხელით გვე-ჭირა მუცლებიო** (გოლ. 90, 11).

გვაქვს თანიანი მრავლობითის გამოყენების შემთხვევაც.

კბილები კი აქვს ისეთი თეთრი და ლამაზი – **მუხლთ მოეკვეთება** მის დამნახავ კაცს (ცისფ. 220, ქვ. 2). შდრ. **მუხლების მოკვეთა**.

რ. ინანიშვილი ფრაზის ექსპრესიულობას ძირითადად აღწევს იდიომების სინონიმური წყვილებით, ამ შემთხვევაში კონტექსტი უფრო ტყვადი, მოქნილი და ლაღი ხდება.

უფრო მეტად **გეწურება და გეხურება გული** (ალერს. 284, 1).

ხმის ჩაწყვება, კონო! ცოტა ჩუმად, **გულეები უსკდებათ** ყმაწვილებსო (ტ. I, 17, 15).

სისხლი ამემღვრა, თვალეები ცრემლით ამევსო, კრიჭა შემეკრა, ენა ვეღარ დავმარი (ტ. I, 72, 17).

რაზე **ვიხეთქავ გულსა** და რაზე ვშავდღეობ მე ოხერი?! ვინ **დამადგამს ოქროს მატურსა!** ყველა თავისი თავის ქეიფზე დადის – ქმარიცა და შვილიცა. **წყალსაც წაულია აქაურობა** (ალერს. 352, 7).

კაი ოხლად გაზრდილი იფნის სახრე და მაგათი ჯანი, ისეთი ლეკური დავავლევინო, დიღმიდან მორზოდნენ საყურებლად (ალერს. 545, 4).

აი, **რატომ ღმერთი არ გაიცინებს**, რომ ეგენიც ქვეყნის მარაქაში გავიდნენ (შორ. 85, 1).

ისე აიჯაგრება, ისე მოიქურუშებს სახეს, თითქო მეხად უნდა გასკდესო. ბებუთიც ჰკივია! გაუბედე ერთი სიტყვის შებრუნება (მეგობ. 94, ქვ. 3).

წამი და მეხი დამეცემა თავზე... მაშინვე ძირს დავუშვებ ჩემს ბაირაღებს... მიუკარებლო ციხეც (გოლ. 31, 21).

მიწამ ჩაიტანა, კალომ ჩაფშვნიტა ჩემი სილამაზე (ალერს. 225, 8).

აღსანიშნავია, რომ მწერალი პერსონაჟთა მეტყველებისას ხშირად მიმართავს კახური დიალექტისათვის დამახასიათებელ იდიომებს. მათი საშუალებით რ. ინანიშვილი ახერხებს მხატვრულად გამოკვეთოს პერსონაჟთა ის ურთიერთისადმი ლაღი და ალაღი, იუმორით აღსავსე დამოკიდებულება, რაც ჩვენი სოფლისათვისაა დამახასიათებელი.

მერე, იქ კი არა ვრჩები ზედსიძედა (გოლ. 11, 23).

დიდცხვირიანები სხედან, ჩაქინდრული აქვთ თავები და თითო ბოთლი ზეთი მაინც ჩამოუვათ თითო დიდი ცხვირიდან (გოლ. 172, 7).

ვზივარ და მიქელ-გაბრიელის ჩამოვლას ველოდები (ასულ. 194, 18).

თვალი გოგიას ცოლს დაუდგეს, რაც არ უნდა ეცადოს, ხომ ვედარ მოხსნის მაყვალას დაკიდებულ მენდალს გოგიასო (ალერს. 286, 26).

მოგვიტანა აორთქლებული ორჯამიანით იოსებას ცოლმა, არც წიწაკა აკლდა და არც არაფერი – ეუჰო – უჩონგუროდ ათამაშებს პატარძალსაო! იძახდა იოსება (ალერს. 50, 1).

ჩაიცვით მაიმუნის პერანგები? (ჯაფ. 124, 7).

შენ ხომ სულ ადგილის მამად უდგებარ აქაურობას (გოლ. 9, 16).

პეწენიკა არ სვამდა არაფერს და ვერ წაიყვანეს ანგელოზებმა დოლ-გარმონის დაკვრით (ალერს. 46, ქვ. 6).

ვთქვა ბაეს ხომ არავინ მახდევინებს, სიტყვის თქმაშიო (ჩიტ. 194, ქვ. 1).

წადი, წადი, მამაშენს იმის ფული არ აქვს, **დუსტი იყიდოს და ტილები დაიყრევინოს** მანქანა არა, ტოროლა (ჯაფ. 110, 8).

მამაშენიც **ფრანგული დუხის სუნმა არ დააღრჩო?! (გოლ. 358, 25)**. ეგრე **დაგიმშვენდა ეგ პაჭუა ცხვირი!** (ასულ. 120, ქვ. 1).

მე ეხლა **გაქშუებულ კამეჩს დავიჭერ რქებით** (ალერს. 163, 2).

აი, ხომ არც ქოჩორი მაქვს, ხელებიც, დახე, **მაღლს რომ დაუყარო, არ შეჭამს**, მაგრამ როგორი ბიჭი ვარ, იცი (ჯაფ. 330, 3).

ჩვენს **ქვეყნაში ვის უნდა მიუკაკუნო, რომ კარი არ გაგიღოს** (ტ. I, 85, 8).

ესენი **ნიჩბებით ხვეტავენ ფულს** (გოლ. 188, 16).

წინათ როგორ გაბედავდა მაგოდენა ბიჭი უფროსებთან ხმის ამოდებას, სუ **კედელზე იყვნენ აკრულნი** (ასულ. 256, ქვ. 2).

შენაო, **ქუდი ხო არ გიჭერს**, აბა თითი შეიყავი **რკალშიო** (ალერს. 256, 11) და სხვ.

დასტურდება ფოლკლორული წარმოშობის იდიომებიც.

დევეს ხომ არ ჰქონდა დაჭერილი წყალიო, – ჰკითხა დედამ (შორ. 20, 20). **დევეს ცალი ყურით დამჭერები** არა, მაგრამ მაინც კაცები (გოლ. 82, 36).

ვინა ხარ უბედურო, საიდანა ხარ, **რა შავმა წყალმა გადაგაიარათ** შენა და შენს მოდგმას ეგრე (გოლ. 40, 9).

მერე **ზღვა შეხვრიპა** (გოლ. 86, 26).

საინტერსო მასალას გვამღვეს მიმართვის ფორმებში სინტაგმების სახით წარმოდგენილი იდიომები.

აბა, ვინ ხარ? **გუდიანი კაცი** (გოლ. 147, 10).

ზოგი **გზის ყაჩაღად** იქცა (ერთ. 100, 3). **გზის მაიმუნებო, სოფლის მასხარებო**–მეთქი (ალერს. 155, 10).

ვირის მუშა ხარ და მაინც ვერა გაგიგია რა შენა (ჯაფ. 57, ქვ. 7).

ჩვენაო სამერიანელები გახლავართო, **ვიწროების მგლებიო** (ჯაფ. 292, 2).

მაგის ჯანი კი დაიწვას, მაგისი! მაგ ტარტაროზისა, მაგ **ფერმის ვირთაგვასი** (შორ. 29, ქვ. 7).

ე, **ჩირგვებში გაზრდილო** (საღ. 90, 8).

აფსუს, რა **ცირკის მაიმუნი** ჰფუჭდები ამ კლდე-ღრეში (ცისფ. 62, 12).

ჰაი, **ცხოვრების მუჭუჭო**, კრაზან (ალერს. 536, 9).

წადი, შენი **ანჩისხატის მაიმუნი** (ასულ. 168, 2).

რ. ინანიშვილის ენაში დასტურდება ხმარებიდან გასული, მოძველებულ იდიომებიც.

ამით გაგებხეთქავ თავსა, შე დამბლავ, შე **კოლმეურნეობის ჩრჩილო!** (სად. 115, 10).

თავს გადავუპობ მაგ **სოფლის წურბელას**, მაგასა (შორ. 30, 16).

შენ თავში **მენშევიკების კრება** ხომ არა გაქვს, რამ იცის ეგრე (ალერს. 89, ქვ. 2).

თითო ქვის გაცვეთაში რამდენი შრომადღე გეწერებათ ჰა (ალერს. 541, ქვ. 8).

ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ რ. ინანიშვილი იდიომებს გაქვავებული სახით კი არ იყენებს, არამედ თავისი სტილისათვის დამახასიათებელი ენობრივი საშუალებებით ამუშავებს, ახალ ყალიბში ასხამს. ამით იდიომების ექსპრესიულ ფუნქციას უფრო აძლიერებს და საერთო ჯამში დიდ ემოციურ დატვირთვას სძენს.

ლიტერატურა

გვენცაძე 1991 – ალ. გვენცაძე, ზოგადი სტილისტიკა, თბილისი.

თაყაიშვილი 1961 – რ. თაყაიშვილი, ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები, თბილისი.

ონიანი 1966 – ალ. ონიანი, ქართული იდიომები, თბილისი.

სახოკია 1979 – თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვათქმანი, თბილისი.

სუხიტაშვილი 1988 – ნ. სუხიტაშვილი, იდიომების განმარტება მიხეილ ჯავახიშვილის რომანებში, თბილისი.

ღლონტი 1968 – შ. ღლონტი, ვეფხისტყოსნის ფრაზეოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

შალამბერიძე 1966 – გ. შალამბერიძე, ილია ჭავჭავაძის ენა, თბილისი.

წყაროები

- ალერს.** – ალერსი შიშიანობის დროს, თბ., 1986.
ასულ. – მთვარის ასული, თბ., 1987.
გოლ. – პატარა ბიჭი გოლგოთაზე, თბ., 1989.
მეგობ. – მეგობრისადმი მინაწერი წერილებიდან, თბ., 1958.
სად. – სადამო ხანის ჩანაწერები, თბ., 1973.
ტ. I. – თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, ტ. I, 1953-1968 წწ.
შველ. – შველი ზამთრში, თბ., 1986.
შორ. – შორი თეთრი მწვერვალი, თბ., 1976.
ჩიტ. – ჩიტების გამომზამთრებელი, თბ., 1978.
ცისფ. – ცისფერი გორგალი, თბ., 1968.
ჯაფ. – ბარისკენ მოფრინავს ჯაფარა, თბ., 1974.

Nineli Chokhonelidze

Idioms According to R. Inanishvili's Language

Summary

In order to manifest artistic language, along with other literary methods R. Inanishvili often makes use of the idioms well-known in literary Georgian as well as the ones specific for the Kakhetian dialect.

The writer does not use them in a petrified form. He processes the idioms by using the language tools typical for his style by what he gives them new shape, enhances the expressive function of idioms, and overall, gives them emotional charging.